



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №23

ქ. ბათუმი

20 თებერვალი, 2018 წ.

გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს გამოცდების ჩატარების თანდართული ინსტრუქცია (დანართი 1).
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილება.
3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, მართვის ორგანოებსა და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე
4. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში

გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. გამოცდების ჩატარების წინამდებარე ინსტრუქცია (შემდეგში „ინსტრუქცია“) ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში „უნივერსიტეტი“ ან „ბსუ“) სწავლების ყველა საფეხურზე შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ორგანიზების, ჩატარების, საგამოცდო ნაშრომების შეფასების, გამოცდის შედეგის გასაჩივრების, საჩივრის განხილვის წესსა და გამოცდაზე სტუდენტისა და ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობებს.

2. უნივერსიტეტში ჩასატარებელი გამოცდების ორგანიზებას წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად ახორციელებს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი (შემდეგში „ცენტრი“) და შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

3. ინსტრუქციის მიზანია უზრუნველყოს უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

4. ინსტრუქცია სავალდებულოა შესასრულებლად ბსუ-ს სტუდენტებისა და საგამოცდო პროცესში ჩართული პერსონალისათვის (სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი - შემდეგში „საგნის ლექტორი“ და უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები - შემდეგში „ადმინისტრაცია“ და დამკვირვებლები).

მუხლი 2. გამოცდების განრიგი და საგამოცდო საკითხები

1. საგამოცდო ცენტრში ჩასატარებელი გამოცდების განრიგს (სასწავლო კურსი, სტუდენტთა ჯგუფი, დრო, ადგილი, საგნის ლექტორი, დამკვირვებელი და სხვა), ცენტრის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს ბსუ-ს რექტორი, რომლის შესაბამისად ფაკულტეტის დეკანი ადგენს ფაკულტეტზე ჩასატარებელი გამოცდების განრიგს (სასწავლო კურსი, სტუდენტთა ჯგუფი, დრო, ადგილი, საგნის ლექტორი, დამკვირვებელი და სხვა).

2. გამოცდების განრიგი უნდა გამოქვეყნდეს შემდეგ ვადებში:

ა) შუალედური გამოცდების - გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 კვირისა;

ბ) დასკვნითი გამოცდების - საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა;

გ) დამატებითი გამოცდების - საგამოცდო პერიოდის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა.

3. საგნის სპეციფიკის ან/და სხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, მოტივირებული ბარათის წარმოდგენის საფუძველზე, შესაძლებელია განისაზღვროს გამოცდების ამ ინსტრუქციით დადგენილისაგან განსახვავებულ ვადებში ჩატარება.

4. გამოცდის (შუალედური/დასკვნითი/დამატებითი) ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა საგნის ლექტორი ვალდებულია საგამოცდო ცენტრში/დარგობრივ დეპარტამენტში (იმის მიხედვით, თუ სად ტარდება გამოცდა) წარადგინოს ან გადაამუშავოს არსებული საგამოცდო საკითხები/ბილეთები.

5. საგამოცდო ბილეთის/მასალის ფორმა, საკითხების ოდენობა და შეფასების კრიტერიუმები საგნის ლექტორის მიერ განისაზღვრება სასწავლო კურსის სილაბუსის

მიხედვით, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (შემდეგი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“) მოთხოვნების შესაბამისად.

6. დასკვნითი/დამატებითი საგამოცდო ბილეთები/საკითხები გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია დაადგინოს წარმოდგენილი საგამოცდო ბილეთების/საკითხების შესაბამისობა სასწავლო კურსის სილაბუსთან.

7. ფაკულტეტებზე მიმდინარე გამოცდების საგამოცდო საკითხები და ბილეთები მტკიცდება შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე, ფიქსირდება სხდომის ოქმში და ხელს აწერს დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

მუხლი 3. გამოცდის ხანგრძლივობა და მიმდინარეობის კონტროლი

1. წერიტი გამოცდის ხანგრძლივობა უნდა იყოს: დასკვნითი/დამატებითი გამოცდისათვის 2-3 საათი, ხოლო შუალედური გამოცდისათვის 1-1,5 საათი.

2. სტუდენტთა ჯგუფში ზეპირი გამოკითხვის შემთხვევაში, საგამოცდო ბილეთი/მასალა ერთდროულად უნდა გაიცეს არაუმეტეს სამ სტუდენტზე. სტუდენტისათვის მიცემული გამოსაცდელი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს.

3. საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექტორს უფლება აქვს, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვროს გამოცდის სხვა ხანგრძლივობა და ფორმა, რომელიც ასახული უნდა იყოს შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

4. რამდენიმე კომპონენტის (ზეპირი და წერიტი) გამოცდის შემთხვევაში, კომპონენტებს შორის შუალედი არ უნდა აღემატებოდეს ერთ დღეს.

5. გამოცდის დაწყების და დამთავრების დრო გამოცდის დაწყებამდე წინასწარ უნდა ეცნობოს სტუდენტებს (განემართოს ან/და დაიწეროს დაფაზე, როცა აუდიტორიაში ტარდება). გარდა აღნიშნულისა, ლექტორი/დამკვირვებელი ვალდებულია 15 წუთით ადრე აცნობოს აუდიტორიაში მყოფ სტუდენტებს გამოცდის ამოწურვამდე დარჩენილი დრო.

6. საგამოცდო აუდიტორიაში გამოიყოფა ადგილი, სადაც სტუდენტი დატოვებს ჩანთას, წიგნს ან/და ნებისმიერ სხვა ნივთს, რომლის გამოყენებაც გამოცდის მსვლელობისას არ არის ნებადართული.

7. გამოცდას (როგორც ფაკულტეტზე, ასევე საგამოცდო ცენტრში) საგნის ლექტორთან ერთად ესწრება დამკვირვებელი ან/და ადმინისტრაცია.

8. საგამოცდო ბილეთის/მასალის დარიგებამდე საგნის ლექტორს უფლება აქვს მისი შეხედულებისამებრ განუსაზღვროს სტუდენტებს სამუშაო მაგიდა/ადგილი.

9. საგამოცდო მასალის დარიგებამდე საგნის ლექტორი/დამკვირვებელი ვალდებულია სტუდენტებს გააცნოს გამოცდის ჩატარების პროცედურა და შედეგების გასაჩივრების წესი.

მუხლი 4. სტუდენტის ქცევის წესი გამოცდაზე

1. სტუდენტი ვალდებულია:

ა) გამოცდების განრიგით დადგენილ დროს გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე. დაგვიანების შემთხვევაში (საგამოცდო ბილეთების დარიგების, კომპიუტერთან გამოცდის დაწყების შემდეგ) იგი გამოცდაზე არ დაიშვება;

ბ) გამოცდაზე დასაშვებად იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ან პასპორტი), რომელიც უნდა მოათავსოს სამუშაო მაგიდის კუთხეში;

გ) ზედმეტი ნივთები, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა, გამოცდის დასრულებამდე განათავსოს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოიხსნება გამოცდიდან;

დ) შეამოწმოს მისი საგამოცდო ბილეთის/მასალის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართოს საგნის ლექტორს/დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ ასეთი პრეტენზია არ მიიღება;

ე) საგამოცდო ბილეთის/მასალის თავფურცელზე დააწეროს სახელი, გვარი, ფაკულტეტი, საგნის/სასწავლო კურსის დასახელება და ლექტორის სახელი და გვარი;

ვ) არ დაიწყოს საგამოცდო ბილეთზე მუშაობა, სანამ არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა;

ზ) საგამოცდო დავალება შეასრულოს ლურჯი ფერის პასტით (აკრძალულია მაიდენტიფიცირებელი ნიშნის ან რაიმე სახის მინიშნების შესრულება);

თ) სამუშაოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი/მასალა და ნამუშევრები გადასცეს დამკვირვებელს/საგნის ლექტორს, კომპიუტერთან მიმდინარე გამოცდის შემთხვევაში დასრულების შესახებ აცნობოს დამკვირვებელს და ისე დატოვოს საგამოცდო ადგილი.

2. საგამოცდო საკითხზე მუშაობის დაწყება შეიძლება საგამოცდო ბილეთის/მასალის დარიგების/კომპიუტერში შესაბამისი მასალის ჩატვირთვისა და საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ. ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, განმეორების შემთხვევაში კი, მოიხსნება გამოცდიდან.

3. გამოცდის პროცესის დროს, ასევე, აკრძალულია:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო, ასევე საგამოცდო თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა (მოიხსნება გამოცდიდან);

ბ) სტუდენტებს შორის საუბარი, ერთმანეთთან გადალაპარაკება (მიიღებს ჯერ გაფრთხილებას, მსგავსი ან სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან);

დ) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება კალკულატორის ნაცვლად (მოიხსნება გამოცდიდან);

ე) გადაწერა ან/და ე.წ. „შპარგალკის“ გამოყენება. „შპარგალკად“ შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი სახის ელექტრონული მოწყობილობა, მობილური ტელეფონი და სხვა. აგრეთვე, ნებისმიერი სახის ჩანაწერი ან ფურცელი, თუ იგი არ არის გაცემული საგამოცდო დავალებასთან ერთად, ან არ აქვს საგნის ლექტორის/დამკვირვებლის ხელმოწერა (მოიხსნება გამოცდიდან);

ვ) კალკულატორის ან/და კოდექსის გადაცემა სხვა სტუდენტისათვის. ეს ჩაითვლება გადაწერის მცდელობად და გაფრთხილების შემდეგ განმეორების შემთხვევაში ორივე სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან;

ზ) საგნის ლექტორისათვის/დამკვირვებლისათვის, საგამოცდო დავალების შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა. დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, განმეორებისას კი მოიხსნება გამოცდიდან.

4. გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება გახდეს სტუდენტის მიერ დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა (ხმამალალი და ხელისშემშლელი საუბარი, სხვა პირისაგან დახმარების მიღება/გაწევა, საგამოცდო ბილეთის/მასალის განზრახ

დაზიანება, კარნახი, ნებართვის გარეშე აუდიტორიაში მოძრაობა, გამოცდის მიმდინარეობისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა ან სხვა).

5. სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს საგნის ლექტორის/დამკვირვებლის მითითება, მათ შორის, გამოცდიდან მისი მოხსნის შესახებ.

6. ამ ინსტრუქციით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება - „0“.

მუხლი 5. საგამოცდო დავალება და შეფასება

1. სტუდენტმა საგამოცდო დავალების თავფურცელზე უნდა მიუთითოს საკუთარი სახელი და გვარი. გამოცდის დასრულების შემდეგ სტუდენტის ნამუშევარი შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტის/პასუხისმგებელი პირის მიერ უნდა დაიშიფროს და გადაეცეს საგნის ლექტორს, რომელიც გასწორებულ ნაშრომებს უკან დაუბრუნებს ამავე სპეციალისტს/პასუხისმგებელ პირს.

2. დეპარტამენტის სპეციალისტის/პასუხისმგებელი პირის მიერ ნაშრომების გაშიფვრის (სტუდენტთა იდენტიფიცირების) შემდეგ საგნის ლექტორს სტუდენტის შეფასებები შეაქვს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, უწყისის ველში.

3. საგნის ლექტორი ვალდებულია შეაფასოს სტუდენტთა საგამოცდო ნამუშევრები, ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, შემდეგ ვადებში:

- ა) 1-დან 25- მდე სტუდენტის – 2 დღეში;
- ბ) 25-დან 50-მდე სტუდენტის – 3 დღეში;
- გ) 50-დან 70-მდე სტუდენტის – 4 დღეში;
- დ) 70-ზე მეტი სტუდენტის – 5 დღეში.

4. საგამოცდო ცენტრში, კომპიუტერთან ჩაბარებული გამოცდის შეფასება სტუდენტს ეცნობება გამოცდის დამთავრებისთანავე და შესაბამისი კურსის/ჯგუფის საგამოცდო შედეგების ერთიანი ამონაწერი გადაეცემა საგნის ლექტორს/დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტს.

5. საგამოცდო ნაშრომში დაფიქსირებული განყენებული და საგანთან შეუსაბამო მოსაზრებები არ შეფასდება. საგამოცდო ნაშრომი, რომელსაც დაეწერება სახელი, გვარი ან რაიმე სახის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც დაკავშირებული არ იქნება საგამოცდო დავალებასთან, არ შეფასდება.

6. დასკვნითი გამოცდის ბილეთი/მასალა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება მოიცავდეს:

- ა) თეორიულ საკითხებს - ერთი საკითხი ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;
- ბ) პრაქტიკულ დავალებებს - ერთი დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;
- გ) სიტუაციურ ამოცანებს - ერთი ამოცანა ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;
- დ) ღია ან/და მრავალპასუხიან ტესტს - მაქსიმუმ 1 ქულა;
- ე) დახურულ ტესტს - მაქსიმუმ 0.5 ქულა;
- ვ) სხვა ტიპის დავალებებს - ერთი დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.

მუხლი 6. საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება

1. საგნის ლექტორი ვალდებულია ამ ინსტრუქციით დადგენილ ვადებში საგამოცდო დავალების შედეგები გააცნოს სტუდენტებს.

2. შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, სტუდენტი წერილობით საჩივარს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისში/საგამოცდო ცენტრში, რომელიც

რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს (არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა).

3. წარდგენილ საჩივარს შესაბამისი საგნის ლექტორი განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში. დეკანს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ლექტორი/კომისიის თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს მოხსენებით ბარათს ელექტრონული მართვის სისტემაში საგამოცდო ნიშნის ასახვის თაობაზე.

4. იმ შემთხვევაში, თუკი საჩივრის (პრეტენზიის) წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში არ იქნება განხილული საჩივარი ან ლექტორის მიერ მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება, სტუდენტს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს ბსუ-ს რექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას.

5. კომისიას უფლება აქვს პირველივე სხდომაზე დაადგინოს სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, როგორც ბსუ-ში მოქმედ წესებს, ასევე შესაბამისი საგნის სპეციფიკას.

6. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორს.

7. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს მოხსენებით ბარათს ელექტრონული მართვის სისტემაში საგამოცდო ნიშნის ასახვის თაობაზე

მუხლი 7. გამოცდების ჩატარებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები

1. გამოცდების ჩატარებას და მონიტორინგს ახორციელებენ: რექტორის მოადგილე (სასწავლო პროცესის მიმართულებით); ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამსახურები; სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, საგამოცდო ცენტრი, შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია; დარგობრივი დეპარტამენტები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, საგნის ლექტორები და უფლებამოსილი დამკვირვებელი პირები, რომლებიც შეირჩევიან აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული ან/და დამხმარე პერსონალისაგან.

2. დასკვნითი/დამატებითი საგამოცდო ვადის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო ცენტრი/დარგობრივი დეპარტამენტი ვალდებულია სტუდენტთა საგამოცდო ნაშრომები გადასცეს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც თავის მხრივ ადგენს შეფასების სილაბუსთან შესაბამისობას, აკეთებს შესაბამის ანალიზს და ახორციელებს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

3. საგამოცდო პერიოდის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე რექტორის ბრძანებით შეიძლება შეიქმნას კომისია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისა და იმ პირთაგან, რომლებიც მონაწილეობას არ იღებდნენ საგამოცდო ნაშრომის გასწორებასა და მისი აპელაციის წესით განხილვაში. კომისია შეისწავლის საგამოცდო ნაშრომს და შესაბამის დასკვნას წარუდგენს რექტორს.

მუხლი 8. გამოცდაზე პასუხისმგებელ პირთა უფლება-მოვალეობები

1. გამოცდაზე პასუხისმგებელი პირი - საგნის ლექტორი/დამკვირვებელი ვალდებულია:

ა) გამოცდის ჩატარების ადგილზე გამოცხადდეს დადგენილ დროს (გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ 15 წუთით ადრე).

ბ) საგამოცდო აუდიტორიაში ჩაიბაროს საგამოცდო ბილეთები/მასალები, დაურიგოს სტუდენტებს და დროის ათვლის შესახებ გააფრთხილოს სტუდენტები;

გ) დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას და უზრუნველყოს გამოცდაზე სტუდენტთა ქცევის წესის მოთხოვნების დაცვა;

დ) ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს მისცეს გაფრთხილება, მოხსნას იგი გამოცდიდან, საგამოცდო ფურცელზე გააკეთოს აღნიშვნა - „მოხსნილია გამოცდიდან“ შესაბამისი მიზეზის მითითებით და გადასცეს ცენტრის პერსონალს/ფაკულტეტის ადმინისტრაციას;

ე) სტუდენტის პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვებზე გასცეს პასუხი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე პრობლემის არსებობის შემთხვევაში მიმართოს ცენტრის პერსონალს/ფაკულტეტის ადმინისტრაციას;

ვ) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გამოცდის დასრულების შესახებ გააფრთხილოს სტუდენტი;

ზ) ჩაიბაროს საგამოცდო ნაშრომები და გადასცეს ცენტრის პერსონალს/ფაკულტეტის ადმინისტრაციას;

თ) წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, რომ დამკვირვებელი/საგნის ლექტორი მიიღებს გადაწყვეტილებას გამოცდიდან სტუდენტის მოხსნის თაობაზე, იგი ვალდებულია შეავსოს წინამდებარე ინსტრუქციის თანდართული დარღვევის აქტი (ფორმა N1) და საგამოცდო ფურცელთან ერთად გადასცეს უფლებამოსილ პირს.

2. წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში დამკვირვებლის მიმართ დაიწყება დისციპლინური საქმისწარმოება ან/და შეუწყდება შრომითი ხელშეკრულება.

გამოცდის ჩატარების ინსტრუქციის დარღვევის

აქტი

ეს ოქმი ადასტურებს, რომ ბსუ-ს -----

----- ფაკულტეტის

----- საგანმანათლებლო

პროგრამის ----- სასწავლო წლის სტუდენტმა -----

დაარღვია ბსუ-ს საგამოცდო ინსტრუქციის ----- მუხლის/ბსუ-ს
ეთიკის კოდექსის ----- მუხლის მთხოვნები, კერძოდ, მან:

გამოცდის თარიღი: -----

გამოცდის ჩატარების დრო: ----- სთ და ----- წთ.

გამოცდის საგანი: -----

დამკვირვებელი/საგნის ლექტორი -----

სხვა პირი (დამკვირვებელი/ადმინისტრაციის წარმომადგენელი)
